	ათვისებული მეთოდებისა და ხერხების გამოყენება. <ul style="list-style-type: none"> <li>განსხვავებული კონსტრუქციის მექანიზმის შესაკეთებლად სანდო ინფორმაციის მოძიება, ანალიზი და და შესაბამისი მეთოდის გამოყენების შესახებ დასკვნის გაკეთება</li> </ul>
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	<b>შეუძლია:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>არასტანდარტულ სიტუაციაში, ძრავის გამართულობაზე და მის რემონტზე ინფორმაციის მიღება და მიწოდება, საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება პროფესიასთან დაკავშირებულ ინფორმაციის მოძიების მიზნით</li> </ul>
<b>სწავლის უნარი</b>	<b>აქვს უნარი:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>სისტემატიურად გაიღრმავოს ცოდნა სიახლეების შესახებ ძრავების სისტემებში. შეისწავლოს სხვადასხვა მარკის ავტომობილების ძრავების მოდიფიკაციები და მექანიზმების კონსტრუქციები.</li> <li>გამოცდილი სპეციალისტებისგან სწავლა დაკვირვებით და მათი გამოცდილების გაზიარებით. დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი პროფესიული განვითარების მიმართულებები</li> </ul>
<b>ღირებულებები</b>	<b>აცნობიერებს:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>საკუთარი საქმიანობის მნიშვნელობას დაპასუხისმგებლობით ეკიდება ნებისმიერი დავალების შესრულებას.</li> <li>კოლეგებთან და მომხმარებლებთან ურთიერთობისას იცავს ეთიკის ნორმებს. განსხვავებულ სიტუაციებში ყურადღებით ეკიდება შესასრულებელი სამუშაოს ყველა დეტალს.</li> <li>და იცავს შრომისა და გარემოსუსაფრთხოებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს</li> </ul>

**8. ინფორმაციული ტექნოლოგი**

**პროფესიული განათლების საფეხური: მესამე**

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია

**პროგრამის მოცულობა:** პროგრამა მოიცავს 35 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა 5 თვე, საათების რაოდენობა 875 საათი)

- 14 კრედიტი-სასწავლო კომპონენტისთვის განსაზღვრულია-350 საათი,
- 21 კრედიტი-პრაქტიკული კომპონენტისთვის - 525 საათი

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევა, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება

**პროფესიული პროგრამის მიზანია მოამზადოს** ინფორმაციული ტექნოლოგიის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელი, პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტი, რომელიც ფლობს საპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტიკისა და მომსახურებისათვის საჭიროს პეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს.

**სწავლის შედეგი:**

<b>ცოდნა და გაცნობიერება</b>	<b>იცის:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>თანამედროვე კომპიუტერების არქიტექტურა;</li> <li>კომპიუტერების შიგა კომპონენტების (დედაპლატა, ცენტრალური პროცესორი, მედშივი და ოპერატიული მეხსიერების მიკროსქემები, გამაგრისებელი სისტემები, გაფართოების პლატები, ინფორმაციის შემნახველი მონწყობილობები, შიგა კაბელები) დანიშნულება და მახასიათებლები;</li> <li>აპარატურული და პროგრამული უსაფრთხოების წესები;</li> <li>სტაიონარული და პორტატიული კომპიუტერების მსგავსება და განსხვავება;</li> <li>პერიფერიული მონწყობილობების გამართვა და მათი მუშაობის პრინციპები;</li> <li>ოპერაციული სისტემის დანიშნულება და მუშაობის პრინციპები;</li> <li>ოპერაციული სისტემის აპარატურული უზრუნველყოფის მოთხოვნები და პლატფორმასთან შესაბამისობის განსაზღვრა;</li> <li>ოპერაციული სისტემის დაყენება და პარამეტრების განსაზღვრა;</li> <li>ოპერაციული სისტემების გაუმართაობების მიზეზების მოძიება და აღმოფხვრა;</li> <li>სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების მონყოა;</li> <li>კომპიუტერული ქსელის არსი და უპირატესობა;</li> <li>ქსელური მონწყობილობების დანიშნულება და მახასიათებლები;</li> <li>დამისამართება, გამტარუნარიანობა და მონაცემთა გადაცემა;</li> <li>ლოკალური ქსელის არქიტექტურა და ტოპოლოგიები;</li> <li>კომპიუტერული ქსელის მუშაობის პრინციპები და ქსელური სერვისების გამოყენება;</li> <li>აპარატურული და პროგრამული დიაგნოსტიკური საშუალებები და წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტის საკითხები</li> </ul>
<b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b>	<b>შეუძლია:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>კომპიუტერის აწყობა, მოდერნიზაცია და გამართვა;</li> <li>პროფილაქტიკური მომსახურება ფუნქციური შესაძლებლობების გაზრდის მიზნით;</li> <li>გაუმართაობების აღმოფხვრა და კომპიუტერების შეკეთება;</li> <li>პერიფერიული მონწყობილობების დამატება და გამართვა;</li> <li>დრაივების ინსტალაცია და განახლება;</li> <li>ოპერაციული სისტემის შერჩევა კლიენტის მოთხოვნების საფუძველზე, მისი დაყენება, გამართვა და ოპტიმიზაცია;</li> </ul>



	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ინსტალაცია, განახლება და გამართვა;</li> <li>• მონაცემთა აღდგენა;</li> <li>• აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დიაგნოსტიკა, წარმოქმნილი პრობლემების მიზეზის დადგენა და მის კვლითი ადმოფიქსირება;</li> <li>• მცირე საოფისე ქსელების დაპროექტება და მოწყობა.</li> <li>• ქსელური მონაცემთა ბაზებისა და ვებ-სერვისების ტესტირება;</li> <li>• ქსელის ინსტალაცია და ტესტირება;</li> <li>• ქსელური რესურსების კონფიგურაცია</li> </ul>
<b>დასკვნის გაკეთების უნარი</b>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ტექნიკური დათვალიერების ან კლიენტის მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეუძლია წარმოქმნილ პრობლემის მიზეზების გააზრება, პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი კვალიფიციური ადმოფიქსირება.</li> <li>• საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეუძლია ინტერნეტის ან ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენებით</li> </ul>
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროფესიულ თემებზე საუბარი კლიენტებთან, კლიენტისგან ინფორმაციის მიღება პრობლემის შესახებ, კლიენტის კომპიუტერული პრობლემის განსაზღვრა</li> <li>• საჭიროების შემთხვევაში, როცა მიზანშეწონილია პრობლემის გადასამართება სხვა სპეციალისტისთვის, შეუძლია კლიენტის პრობლემის აღწერა და წერილობით გადმოცემა.</li> <li>• ახალი ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით, შესაბამისი პრეზენტაციების მომზადება და საკუთარი მოსაზრებების წარდგენა კოლეგებთან ან ხელმძღვანელობასთან</li> <li>• შეუძლია ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში მარტივი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე, აქვს ჯგუში მუშაობისა და გარემო პირობებთან ადაპტაციის უნარი</li> </ul>
<b>სწავლის უნარი</b>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივი განვითარების პირობებში, დამოუკიდებლად შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მოძიება, გარჩევა და შესწავლა</li> <li>• ასევე გააჩნია პასუხისმგებლობა პროფესიული და კარიერული ზრდის თვალსაზრისით სწავლის შემდგომ გაგრძელებაზე</li> </ul>
<b>ღირებულებები</b>	<p><b>გაცნობიერებული აქვს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან მუშაობის იურიდიული და ეთიკური ასპექტები</li> <li>• კლიენტთან ურთიერთობისას იცავს პროფესიული ქცევის ნორმებს და ითვალისწინებს კლიენტის სურვილებს, ასევე იცავს უსაფრთხოების წესებს</li> <li>• პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე</li> </ul>

### 9. ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)

#### პროფესიული განათლების საფეხური: მესამე

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მესამე საფეხურის კვალიფიკაცია

**პროგრამის მოცულობა:** პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა 9 თვე, საათების რაოდენობა 1500)

- 33 კრედიტი -სასწავლო კომპონენტისთვის განსაზღვრულია 825 საათი,
- 27 კრედიტი-პრაქტიკული კომპონენტისთვის კი 675 საათი

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევა, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება

**პროფესიული პროგრამის მიზანია** ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მსმენელს მისცეს ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელი ათანამედროვე ვებტექნოლოგიებში პროფესიული საქმიანობისათვის, მოამზადოს კონკურენტუნარიანის პეციალისტი, რომელიც დააკმაყოფილებს შიდა და საერთაშორისო შრომითი ბაზრის მოთხოვნას, რომელიც უზრუნველყოფს ვებსაიტის შექმნას, რედაქტირებას, ინტერნეტ სივრცეში განთავსებას და ტექნიკურ-ინფორმაციულ მხარდაჭერას.

#### სწავლის შედეგი:

<b>ცოდნადაგაცნობიერება</b>	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კომპიუტერის მოხმარება და ფაილები სმართვა; საოფისე სისტემებში (Microsoft Word, Excel, PowerPoint) მუშაობა; ინტერნეტსერვისების გამოყენება.</li> <li>• ვებ-საიტების პროექტირების ეტაპები, ვებ-გვერდების ლოგიკური სტრუქტურის ჩამოყალიბება (მარტივი და კომფორტული ნავიგაცია, სწორი იერარქია);</li> <li>• რასტრულიდავექტორული გრაფიკული რედაქტორების მუშაობის პრინციპები: ობიექტების შექმნა და დამუშავება, ტექსტთან მუშაობა და მისი ტილიზაციის მეთოდები;</li> </ul>
----------------------------	--

	<ul style="list-style-type: none"> <li>• ვებსტანდარტების შეზღუდვების გათვალისწინება (რათა არ შეიქმნას დიზაინი, რომლის რეალიზება პროგრამირების სტანდარტული საშუალებებით შეუძლებელი იქნება);</li> <li>• ვებგვერდების მარკირება (xhtml): ტექსტის, გრაფიკული ობიექტების, ცხრილების, ფორმების, ჰიპერბმულები სგამოყენება/რედაქტირება;</li> <li>• ვებგვერდების სტილებით CSS (Cascading Style Sheets) გაფორმება;</li> <li>• ვებგვერდის შემცველობის ნაწილის თანამედროვე ლოგიკურის ტრუქტურითა და სათანადო ატრიბუტების გამოყენებით ფორმატირება (რაც საძიებო სისტემებისთვის მეტ ფუნქციონალურ დატვირთვას იძენს და ადვილად მოძებნადი ხდება ვებ-გვერდი);</li> <li>• ვებგვერდების განლაგების მართვა CSS (Cascading Style Sheets) მეშვეობით. სათანადო მეთოდის გამოყენება, რომელიც შემდგომში ვებგვერდზე განსახორციელებელი სტილური გაფორმების ცვლილებებისათვის მარტივად უზრუნველყოფს ყველა დოკუმენტში შესატყვის ცვლილებებს;</li> <li>• W3C ვალიდაცია (სტანდარტების შესატყვისობაზე ტესტირება);</li> <li>• მარტივი მულტიმედია ობიექტების შექმნა და ვებგვერდზე იმპორტირება;</li> <li>• JavaScript (პროგრამული ბიბლიოთეკების) ფუნქციების გამოყენება;</li> <li>• PHP სერვერის მხარის პროგრამირების ენა ძირითადი ფუნქციონალური ნაწილით;</li> <li>• MySQL მონაცემთა ბაზის ლოგიკური დაგეგმარება და PHP პროგრამული</li> </ul>
<b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ვებ-რესურსების სტრუქტურის პროექტირება, დიზაინის იდეის და კონცეფციის ჩამოყალიბება;</li> <li>• პროექტის დაგეგმარება და მის ეტაპობრივ განხორციელებას;</li> <li>• დიზაინისთვის საჭირო დეტალებს: ლოგო, კოლაჟი, ილუსტრაციები, ტექსტური ფენების შექმნა;</li> <li>• ვებგვერდის ესკიზების შექმნა და უკვე არსებული მაკეტების (მაბლონების) გადაკეთება გრაფიკული რედაქტორების გამოყენებით;</li> <li>• ვებგვერდის მარკირება (xhtml) დასტილების გამოყენებით (css) მისი სრულყოფა;</li> <li>• ვებსტანდარტებით გათვალისწინებული, დინამიური, საშუალო დონის ვებგვერდების შექმნა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;</li> <li>• საიტის მარტივი მართვის სისტემის დამოუკიდებლად შექმნა, ხშირად გამოყენებადი ფუნქციონალური ნაწილის გათვალისწინებით (საიტზე არსებული - ზოგადი ინფორმაციის, სიახლეების, გალერეის, ტექსტურ-ფოტომასალის, ასევე მიმდგრებული ფაილების მართვა: ჩასმა, განახლება, წაშლა);</li> <li>• სხვადასხვა გამარტივებული მენიუს, გრაფიკული მასალის „ლაიფხაქის“ ვიდეომასალი სწვენება და სხვა საშუალო სირთულის JavaScript ტექნოლოგიების გამოყენება;</li> <li>• მულტიმედია ინფორმაციის (აუდიო, ვიდეო, "ფლეშ" ანიმაცია) გამოყენება ვებგვერდების შექმნის პროცესში;</li> <li>• პროექტის დაგეგმარება და მის ეტაპობრივ განხორციელებას; შექმნილი ვებსაიტის ლოკალურად ტესტირება და შერჩეულ სერვერზე განთავსება</li> </ul>
<b>დასკვნის გაკეთების უნარი</b>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დამკვეთისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ვებსაიტის სტრუქტურისა და შესასრულებელი სამუშაოს გააზრება, პრიორიტეტების განსაზღვრა და დაკვეთის კვალიფიცირებულად შესრულება. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეუძლია ინტერნეტის ან სხვა საშუალებების გამოყენებით</li> </ul>
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროფესიულ თემებზე საუბარი დამკვეთთან, მისგან ინფორმაციის მიღება, კონკრეტულ შემთხვევებში მისთვის რჩევის სახით საჭირო ინფორმაციის მიწოდება. საჭიროების შემთხვევაში, როცა მიზანშეწონილია პრობლემის გადამისამართება სხვას პეციალისტისთვის, შეუძლია დამკვეთის მოთხოვნი საღწერა დაწერილობით გადმოცემა.</li> <li>• შესრულებული დაკვეთი პირველადი განხილვის მიზნით, პრეზენტაციების მომზადება და საკუთარი ნამუშევრის წარდგენა კლიენტის, კოლეგებისა თუ ხელმძღვანელობისათვის. შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული ტექნიკური აღწერილობის გაცნობა და კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე. აქვს ჯგუფში მუშაობის, კონკრეტულ გარემოსა და სიტუაციასთან ადაპტირების უნარი.</li> </ul>
<b>სწავლის უნარი</b>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივი განვითარების პირობებში, დამოუკიდებლად შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მოძიება, გარჩევა და შესწავლა. ასევე გააჩნია პასუხისმგებლობა პროფესიული და კარიერული ზრდის თვალსაზრისით სწავლის შემდგომ გაგრძელებაზე</li> </ul>
<b>ღირებულებები</b>	<p><b>გაცნობიერებულიაქვს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროფესიული საქმიანობის იურიდიული და ეთიკური ასპექტები. კლიენტთან ურთიერთობისას იცავს პროფესიული ქცევის ნორმებს და ითვალისწინებს სკლიენტის სურველებს. პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე</li> </ul>

**10. კომპიუტერული გრაფიკოსი**

**პროფესიული განათლების საფეხური: მესამე**

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** კომპიუტერული გრაფიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**პროგრამის მოცულობა:** პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა 9 თვე, საათების რაოდენობა 1500)

- 30 კრედიტი - სასწავლო კომპონენტისთვის განსაზღვრულია 750 საათი,

- 30 კრედიტი - პრაქტიკული კომპონენტისთვის კი 750 საათი

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევა, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება

**პროფესიული პროგრამის მიზანია** მოამზადოს ფართო პროფილისა და კვალიფიკაციის მქონე გრაფიკოსი, რომელიც მოემსახურება კომპიუტერულ პოლიგრაფიაში, ტელევიზიაში, სამედიცინო გამოკვლევებსა თუ ქირურგიულ პროცედურებში. კარგად კონსტრუირებულ კომპიუტერულ გრაფიკას შეუძლია უფროიოლად და გასაგებად წარადგინოს რთული სტატისტიკური მონაცემები. შეიქმნა მრავალი ძლიერი მექანიზმი, რათა მოხდეს მონაცემების უკეთ ვიზუალიზაცია. კომპიუტერული გრაფიკის გამოყენების ძირითადი სფეროებია:

- ციფრულიფოტოგრაფია და საგრძნობლად გაზრდილი საშუალებებიფოტოების დამუშავების.
- კომპიუტერული გრაფიკა კინოსა და ტელევიზიისთვის.
- სპეც-ეფექტები, ვიზუალური ეფექტები, ციფრული კინემატოგრაფია.
- მსოფლიო ქსელი (World Wide Web) და ვიდეოკონფერენციები.
- სამეცნიერო და საქმიანი მონაცემების ვიზუალიზაცია.
- კომპიუტერული ტომოგრაფია.
- კომპიუტერული თამაშები, ვირტუალური სინამდვილის სისტემები (მაგ. თვითმფრინავის მართვის ტრენაჟორი პილოტებისთვის).

**სწავლისშედეგი:**

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კომპიუტერის მოხმარება და ფაილების მართვა; საოფისე სისტემებში (Microsoft Word, Excel, PowerPoint) მუშაობა; ინტერნეტ სერვისების გამოყენება.</li> <li>• რასტრული გრაფიკული რედაქტორის მუშაობის პრინციპები: ობიექტების შექმნა და დამუშავება, ტექსტთან მუშაობა და მისი სტილიზაციის მეთოდები;</li> <li>• გამოსახულების დამუშავების პრინციპები: აღდგენა, კორექცია, დეფექტების და ცდომილებების მოშორება, კონტრასტების და ტონირების რედაქტირება;</li> <li>• გრაფიკული რედაქტორების ძირითადი ელემენტების: შრეების, არხების,ნიღბებისა და ფილტრების დანიშნულება და მათი მუშაობის პრინციპები;</li> <li>• 3D პროგრამის მუშაობის ზოგადი პრინციპები: სცენური დაარქიტექტურული ობიექტების შექმნა და მოდელირება;</li> <li>• ანიმაციური მეთოდები და მათი გამოყენების პრინციპები;</li> <li>• ავეჯის, შენობების, გარემოს და ა. შ. მოდელირება და ვიზუალიზაცია;</li> <li>• 3D ეფექტების გამოყენება.</li> <li>• მარტივი ანიმაციური ელემენტებით დინამიური გრაფიკის შექმნა;</li> <li>• გადაწყვეტის ჩუდებისათვის და სარეკლამო რგოლებისათვის. მოძრავიგრაფიკული ანიმაციების შექმნა. ტექსტების ანიმაციური და გრაფიკულიდამუშავება</li> </ul>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბუკლეტების, ფლაერების, პლაკატების, სარეკლამო ბანერების და სავიზიტო ბარათების ბუქდვისათვის მომზადებას რასტრული გრაფიკული რედაქტორის საშუალებით;</li> <li>• სამგანზომილებიანი არქიტექტურული ობიექტების მოდელირება, ტექსტურირება, ანიმირება და ვიზუალიზაცია 3D პროგრამის გამოყენებით;</li> <li>• ტექსტების 3D ანიმაციურ და დინამიურ დამუშავება. მულტიფლემისა დათამაშის პერსონაჟის შექმნა და ანიმაციური მოდელირება; ინტერისა დაექსტერიერის დიზაინის შექმნა;</li> <li>• საინჟინრო და არქიტექტურული ელემენტების შექმნა.</li> </ul>
<p><b>დასკვნის გაკეთების უნარი</b></p>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დამკვეთისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შესასრულებელი სამუშაოს გაზრება, პრიორიტეტების განსაზღვრა დადაკვეთის კვალიფიციურებულად შესრულება.</li> <li>• საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეუძლიაინტერნეტის ან სხვა საშუალებების გამოყენებით</li> </ul>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროფესიულ თემებზე საუბარი დამკვეთთან, მისგან ინფორმაციისმიღება, კონკრეტულ შემთხვევებში მისთვის რჩევის სახით საჭიროინფორმაციის მიწოდება.</li> <li>• საჭიროების შემთხვევაში, როცა მიზანშეწონილია პრობლემის გადამისამართებასხვა სპეციალისტისთვის, შეუძლია დამკვეთის მოთხოვნის აღწერა დანერვილობით გადმოცემა.შესრულებული დაკვეთის პირველადი განხილვისათვის მიზნით,</li> <li>• პრეზენტაციების მომზადება და საკუთარი ნამუშევრის წარდგენა კლიენტის,კოლეგებისა თუ ხელმძღვანელობისათვის.</li> <li>• შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული ტექნიკური აღწერილობის გაცნობადა კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე.</li> <li>• აქვს ჯგუფში მუშაობის, კონკრეტულ გარემოსა და სიტუაციასთან ადაპტირების უნარი.</li> </ul>
<p><b>სწავლის უნარი</b></p>	<p><b>დამოუკიდებლად შეუძლია :</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივი განვითარების პირობებში,პროფესიასთან დაკავშირებული ახალიინფორმაციის მოძიება, გარჩევა და შესწავლა.</li> <li>• და გააჩნია პასუხისმგებლობა პროფესიული და კარიერული ზრდისთვისაზრისით სწავლის შემდგომ გაგრძელებაზე</li> </ul>
<p><b>ღირებულებები</b></p>	<p><b>გაცნობიერებული აქვს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროფესიული საქმიანობის იურიდიული და ეთიკური ასპექტები. კლიენტთან ურთიერთობისას იცავს პროფესიული ქცევის ნორმებს და ითვალისწინებს კლიენტის</li> </ul>

	<p>სურვილებს.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე</li> </ul>
--	---

**11. კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი**

**პროფესიული განათლების საფეხური: მესამე**

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია

**პროგრამის მოცულობა:** პროგრამა მოიცავს 45 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა 6 თვე, საათების რაოდენობა 1125)

- 18 კრედიტი- სასწავლო კომპონენტისთვის განსაზღვრულია 450 საათი,
- 27 კრედიტი-პრაქტიკული კომპონენტისთვის კი 675 საათი

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევა, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება

**პროფესიული პროგრამის მიზანია** მოამზადოს მესამე საფეხურის კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი, რომელსაც ევოლინება აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დიაგნოსტიკა, წარმოქმნილი პრობლემების მიზეზის დადგენა და მისი კვალიფიციურად აღმოფხვრა; ააგოს, მართოს და ადმინისტრირება გაუწიოს მცირე და საშუალო მასშტაბის (150-300 კომპიუტერი) კომპიუტერულ ქსელს; სხვადასხვა სერვერების ინსტალირებასა და მართვას; კატალოგების მართვის სისტემის Active Directory-ის ამუშავებას და ორგანიზაციის შიდა ქსელური რესურსების მართვას; ოპერაციული სისტემის Windows Server 2008 სერვერზე დაყენებასა ორგანიზაციისთვის საჭირო ყველა ძირითადი სერვისის გამართვას; ინფორმაციის საიმედოდ შენახვისათვის სხვადასხვა ტიპის დისკური მასივების განსაზღვრასა და დაკონფიგურირებას საჭიროების შესაბამისად.

**სწავლის შედეგი:**

<b>ცოდნა და გაცნობიერება</b>	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თანამედროვე კომპიუტერების არქიტექტურა;</li> <li>• ძირითადი და პერიფერიული მოწყობილობების გამართვა და მათი მუშაობის პრინციპები;</li> <li>• აპარატურული, ქსელური და სისტემური უსაფრთხოების წესები; კომპიუტერული ქსელის არსი და უპირატესობა;</li> <li>• კომპიუტერული ქსელის არქიტექტურა, ტოპოლოგიის ტიპები, მათი უპირატესობები;</li> <li>• ინფორმაციის გადაცემის აღწერა ქსელური TGP/IP და OSI მოდელების დონეების მიხედვით.</li> <li>• ქსელური აპარატურის დანიშნულება (როუტერი, კომუტატორი, მოდემი, ჰაბი, ბრიჯი) და ბაზისური კონფიგურაცია;</li> <li>• ქსელურ რესურსებზე წვდომის განსაზღვრა, ქსელის ოპტიმიზაცია და ძირითადი უსაფრთხოების დანერგვა; ოპერაციული სისტემის დანიშნულება, მუშაობის პრინციპები, დაყენება და პარამეტრების განსაზღვრა;</li> <li>• სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ინსტალაცია, განახლება და გამართვა; ოპერაციული სისტემების გაუმართაობების მიზეზების მოძიება და აღმოფხვრა;</li> <li>• სერვერული სისტემების დუბლირებისა და ოპტიმიზაციის სერვისების კონფიგურირება; მცირე და საშუალო სიდიდის ორგანიზაციის ქსელის და შიდა კომპიუტერული სისტემის ინტერნეტთან დაკავშირება.</li> </ul>
<b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნერი</b>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დიაგნოსტიკა, წარმოქმნილი პრობლემების მიზეზის დადგენა და მისი კვალიფიციურად აღმოფხვრა;</li> <li>• ააგოს, მართოს და ადმინისტრირება გაუწიოს მცირე და საშუალო მასშტაბის (150-300 კომპიუტერი) კომპიუტერულ ქსელს; დანერგოს და დააკონფიგურიროს თანამედროვე დინამიური მარშრუტიზაციის პროტოკოლები;</li> <li>• დანერგოს ქსელში სამდონიანი იერარქიული მოდელი, რომელიც აუცილებელია ქსელის საიმედოდ, დაცულად და ოპტიმიზირებულად მუშაობისათვის;</li> <li>• დანერგოს სერიალური გადაცემის ინვაფსულაციის პროტოკოლები, საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს წვდომები კონკრეტული მისამართების და სერვისების დონეზე; სხვადასხვა სერვერების იგსტალირებასა და მართვას;</li> <li>• კატალოგების მართვის სისტემის Active Directory-ის ამუშავებას და ორგანიზაციის შიდა ქსელური რესურსების მართვას;</li> <li>• ოპერაციული სისტემის Windows Server 2008 სერვერზე დაყენებასა ორგანიზაციისთვის საჭირო ყველა ძირითადი სერვისის გამართვას;</li> <li>• ინფორმაციის საიმედოდ შენახვისათვის სხვადასხვა ტიპის დისკური მასივების განსაზღვრასა და დაკონფიგურირებას საჭიროების</li> </ul>

	შესაბამისად.
<b>დასკვნის გაკეთების უნარი</b>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>კლიენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეუძლია ქსელის სტრუქტურის გააზრება; საჭირო მოწყობილობებისა და მასალების განსაზღვრა;</li> <li>ქსელში შესასრულებელი ოპერაციების გათვალისწინებით სამონტაჟო-საინსტალაციო სისტემების განსაზღვრა;</li> <li>საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეუძლია ინტერნეტის ან ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენებით.</li> </ul>
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>პროფესიულ თემებზე საუბარი კლიენტებთან, კლიენტის მოთხოვნების მოსმენა და მისგან სრულყოფილი ინფორმაციის მიღება;</li> <li>საჭიროების შემთხვევაში, როცა მიზანშეწონილია პრობლემის გადამისამართება სხვა სპეციალისტისთვის, შეუძლია კლიენტის პრობლემის აღწერა და წერილობით გადმოცემა;</li> <li>ქსელის დაგეგმასთან დაკავშირებით, შესაბამისი პრეზენტაციების მომზადება და საკუთარი მოსაზრებების წარდგენა კოლეგებთან ან ხელმძღვანელობასთან;</li> <li>შეუძლია ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში მარტივი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე;</li> <li>აქვს ჯგუფში მუშაობის და კონკრეტული გარემოსა და სიტუაციასთან ადაპტირების უნარი.</li> </ul>
<b>სწავლის უნარი</b>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>ქსელური ტექნოლოგიების მრავალფეროვნებისა და მუდმივი განვითარების პირობებში, დამოუკიდებლად შეუძლია ქსელურ აპარატურასა და სისტემებთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მოძიება, გარჩევა და სესწავლა;</li> <li>გააჩნია პასუხისმგებლობა პროფესიული და კარიერული ზრდის თვალსაზრისით სწავლის შემდგომ გაგრძელებაზე.</li> </ul>
<b>ღირებულებები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>გაცნობიერებული აქვს პროფესიულ საქმიანობაში იურდიული და ეთიკური ასპექტები</li> <li>იცავს უსაფრთხოების წესებს;</li> <li>ქსელური რესურსების განაწილებისას ითვალისწინებს მომხმარებელთა უფლებებს, კლიენტთან ურთიერთობისას იცავს პროფესიული ქცევის ნორმებს და ითვალისწინებს მათ სურვილებს</li> <li>პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე.</li> </ul>

## 12. ბუღალტერი

**პროფესიული განათლების საფეხური:** მესამე

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ-მოანგარიშე

**პროგრამის მოცულობა:** პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა 4 თვე, საათების რაოდენობა 750)

- 12 კრედიტი-სასწავლო კომპონენტისთვის განსაზღვრულია 300 საათი,
- 18 კრედიტი-პრაქტიკული კომპონენტისთვის კი 450 საათი

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევა, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება

**პროფესიული პროგრამის მიზანია** კვალიფიციური ბუღალტერ-მოანგარიშის მომზადება, რომელსაც ექნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

- ფინანსური ანგარიშების წარმოება და მის საფუძველზე საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და გადახდისუნარიანობის გაანგარიშების გაცნობიერება.
- ბუღალტერ-მოანგარიშის საქმიანობის დაგეგმვა, ხარჯთაღრიცხვა და კალკულაცია
- საგადასახადო აღრიცხვა, საგადასახადო დეკლარაციების შედგენა-წარდგენა
- ფინანსური ანგარიშგების შედგენა

**სწავლის შედეგი:**

<b>ცოდნა და გაცნობიერება</b>	<p><b>აქვს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>სამეურნეო მოვლენების მიხედვით დოკუმენტების შედგენის, დოკუმენტირებული სამეურნეო მოვლენის საბუღალტრო ანგარიშებში ჩანერის, საბუღალტრო ანგარიშებში ნაშთების გამოთვლის, საცდელი ბალანსის შედგენის, საგადასახადო სისტემის ზოგადი პრინციპებისა და პროცესების, ბიზნესის სამართლისა და ეკონომიკის საფუძვლების ცოდნა.</li> </ul>
<b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>დათვლა, აღწერა, გაზომვა და გამოთვლითი სამუშაოების შესრულება;</li> <li>პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების შედგენა;</li> <li>პირველადი დოკუმენტების საფუძველზე კრეფსითი უწყისების შედგენა;</li> <li>ბუღალტრული გატარებამინიშნული ოპერაციების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებში;</li> <li>ტიპიური/გამეორებადი ოპერაციების დამოუკიდებლად ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებში;</li> <li>დანერვილ საბუღალტრო პროგრამაში სამეურნეო ოპერაციების შეტანა, ოპერაციების კორექტირება;</li> <li>საცდელი ბალანსის შესადგენი ნაშთების მომზადება</li> </ul>
<b>დასკვნის გაკეთების უნარი</b>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>ცალკეულ საბუღალტრო ანგარიშებში თავმოყრილი ინფორმაციის დაჯგუფება, მათ ბაზაზე ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის აუცილებელი პერიოდული ანგარიშების მომზადება ცალკეული სააღრიცხვო ობიექტებისა და თემატიკის მიხედვით.</li> </ul>
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	<p><b>აქვს უნარი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>მოკლედ, ლაკონურად და გასაგებად დასვას პრობლემური საკითხი და იოლად აღიქვას განხილვისას გამოთქმული მოსაზრება.</li> <li>მესამე მხარესთან სააღრიცხვო საკითხების გარკვევა;</li> <li>ამზინით წერილობით გასაგებად ჩამოაყალიბოს მოთხოვნა ან/დაპასუხი სააღრიცხვო ინფორმაციაზე, დოკუმენტებზე, ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე.</li> <li>უცხოურ ენაზე შედგენილი საბუღალტრო დოკუმენტის შინაარსის გაგების უნარი.</li> </ul>
<b>სწავლის უნარი</b>	<p><b>შეუძლია :</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>საბუღალტრო საქმიანობის შესახებ ახალი ცოდნის მიღება და მომავალი კარიერის დაგეგმვისთვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.</li> </ul>
<b>ღირებულებები</b>	<p><b>იცნობს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>ბუღალტრის ეთიკის კოდექსის ძირითად ნორმებს. არის ბუნქტუალური, მონესრიგებული, კეთლისინდისიერი.</li> </ul>

### 13. ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)

#### პროფესიული განათლების საფეხური: მესამე

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**პროგრამის მოცულობა:** პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა 9 თვე, საათების რაოდენობა 1500)

- 31 კრედიტი-სასწავლო კომპონენტისთვისაა განსაზღვრულია -775 საათი,
- 29 კრედიტი-პრაქტიკული კომპონენტისთვის - 725 საათი.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევა, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება

**პროფესიული პროგრამის მიზანია** მოამზადოს ოფისის მენეჯერისათვის შესაბამისი პროფესიული კომპეტენციების მქონე პირი, რომელსაც ეწეება ეფექტური კომუნიკაციის, საქმისწარმოებისა და საქმიანი მიმონერისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, დაიცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს და იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

#### სწავლის შედეგი:

<b>ცოდნა და გაცნობიერება</b>	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>სამუშაო ადგილის მოწყობის წესები;</li> <li>საოფისე მომსახურების ძირითადი სახეები;</li> <li>ადმინისტრაციული საქმისწარმოების წესები;</li> <li>საერთო და სპეციალური საქმისწარმოების წესები;</li> </ul>
------------------------------	---

	<ul style="list-style-type: none"> <li>• დოკუმენტთა კლასიფიკაცია იურიდიული და პრაქტიკული დანიშნულების მიხედვით;</li> <li>• ოფიციალური დოკუმენტების შედგენა-გაფორმების (პირადი, სამსახურებრივი, საგანმკარგულებლო, სადამსრულებლო, საინფორმაციო, სპეციალური დანიშნულების) და მასთან მუშაობის წესები;</li> <li>• საარქივო საქმეთა ფორმირების წესები;</li> <li>• საერთაშორისო მიმოწერის სტანდარტები;</li> <li>• სხვადასხვა ღონისძიებათა მოწყობის წესები;</li> <li>• ადმინისტრაციული და შრომის სამართლის საფუძვლები;</li> <li>• ტექსტის რედაქტირების საფუძვლები;</li> <li>• პროფესიული ეტიკის და ეტიკეტის წესები.</li> </ul>
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პირადი დოკუმენტების მომზადება;</li> <li>• სამსახურებრივი დოკუმენტების ინდექსირება, რეგისტრაცია და ოპერატიულად შენახვა;</li> <li>• საკადრო, სპეციალური, საინფორმაციო და საზღვარგარეთ გასაგზავნი დოკუმენტების პროექტების მომზადება დამოუკიდებლად;</li> <li>• ხელშეკრულებებსა და საკადრო დოკუმენტებზე მუშაობა;</li> <li>• ინფორმაციის შეკრება, დამუშავება, შენახვა;</li> <li>• მართივი მონაცემთა ბაზის შექმნა, ელექტრონული დახარისხება და ფილტრაცია;</li> <li>• დოკუმენტბრუნვის ორგანიზება;</li> <li>• უდოკუმენტო მომსახურების ორგანიზაცია;</li> <li>• საოფისე მომსახურების (მივლინების, მუშაკის სამსახურში მიღების, სხდომების, საარქივო და სხვა დავალებათა) ორგანიზება;</li> <li>• საარქივო მომსახურება და საქმეთა ფორმირება არქივისათვის;</li> <li>• ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზ.</li> </ul>
დასკვნის გაკეთების უნარი	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინფორმაციის დაზუსტება და ვადამუშავება;</li> <li>• აქვს საკანონმდებლო აქტებში შეტანილი ცვლილებების ანალიზის უნარი;</li> <li>• შეუძლია მონაცემების დამუშავების პროცესში უზუსტობების დადგენა და პრობლემის მოგვარება.</li> </ul>
კომუნიკაციის უნარი	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინტერპერსონალური კომუნიკაცია - სათანადო ახსნა-განმარტების მიცემა, ინფორმაციის გამოთხოვა, დაზუსტება და სხვა;</li> <li>• ინტერკულტურული კომუნიკაცია;</li> <li>• სხვადასხვა საოფისე კომპიუტერულ პროგრამაში ( MS Windows, MS Word, MS Excell, Power Point, Internet ) მუშაობა მომხმარებლის დონეზე;</li> <li>• გამართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სახელმწიფო ენაზე;</li> <li>• უცხოურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე B1 დონეზე.</li> </ul>
სწავლის უნარი	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროფესიული საქმიანობის შესახებ ახალი ცოდნის მიღება,</li> <li>• პროფესიული განვითარებისთვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა</li> </ul>
ღირებულებები	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცავს კონფიდენციალობასთან დაკავშირებულ ყველა წესსა და პროცედურას;</li> <li>• არის კომუნიკაბელური, პუნქტუალური და მონესრიგებული;</li> <li>• პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობებს;</li> <li>• აქვს კორპორატიული კულტურა.</li> </ul>

#### 14. მცირე ბიზნესის მწარმოებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

**პროფესიული განათლების საფეხური:** IV საფეხური

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მცირე ბიზნესისმწარმოებლისმეთხესაფეხურის პროფესიულიკვალიფიკაცია

**პროგრამის მოცულობა:**60 კრედიტი, სულ 1500 სთ. მ.შ.

- 30 კრედიტი-პრაქტიკის კომპონენტისთვის განკუთვნილია 750 საათი
- 30 კრედიტი-თეორიული კომპონენტისთვის განკუთვნილია-750 საათი

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა :**

- პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა დაპროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნის დაკმაყოფილება-სრულიზოგადიგანათლება

**პროფესიული პროგრამის მიზანია** სტუდენტს მისცეს შრომის ბაზრის შესაბამისი მცირე ბიზნესის მწარმოებლის კვალიფიკაციის მფლობელის შესაბამისი კომპეტენციები, რომელიც მისცემს შესაძლებლობას დასაქმდეს როგორც მცირე ბიზნესით ასევე გამოიყენოს თვითდასაქმების შესაძლებლობები.

**სწავლის შედეგი:**

<b>ცოდნა და გაცნობიერება</b>	<p><b>აქვს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბიზნეს მათემატიკის საწყისი კურსი; კომპიუტერული ტექნოლოგიების საფუძვლები: შესავალი კურსი; საოფისე პროგრამები; ინტერნეტის გამოყენება; ელექტრონული ფოსტის გამოყენება; ბიზნესის საფუძვლები: ბიზნეს გარემო, ბიზნესის რესურსები და ფაქტორები; მცირე ბიზნესის დაგეგმვა და სამენარმეო გარემო; ბიზნესის შეფასება; მცირე ბიზნესის საქონელწარმოების გენეზისი; დაფინანსებები, ბიუჯეტი, ფინანსური მენეჯმენტი; საქმიანი ურთიერთობების კულტურის ზოგადი საკითხები მცირე ბიზნესში; ორგანიზაციული კულტურა;</li> <li>• მცირე ბიზნესის საწარმოს დაგეგმვა, სტრუქტურა და კომუნიკაცია; კარიერის მენეჯმენტი, საშტატო გადაადგილებები; ჯგუფთაშორის ურთიერთობები და კონფლიქტების მოგვარება; ორგანიზაციის განვითარების გზები; ბიზნეს-კომუნიკაციების საფუძვლები მცირე ბიზნესში; კომუნიკაციური უნარ-ჩვევები; საქმიანი ლოკუმენტაციის წარმოება; კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაბელობა და კონფლიქტების მართვა; გადანაცვტილების მიღება კარიერის დაგეგმვის და მისი განვითარების დროს; იმ სამუშაოს დადგენა, რომელიც დაკავშირებული იქნება პერსონალური და პროფესიული უნარ-ჩვევების მაქსიმალურ რეალიზაციასთან; ინგლისურის საწყისი კურსის პროგრამები. აცნობიერებს: მიღებული თეორიული საბაზო ცოდნისა და მისი ეფექტური გამოყენების მნიშვნელობას მცირე ბიზნესის ადმინისტრირების პროცესის შესწავლისა და წარმართვისათვის</li> </ul>
<b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b>	<p><b>აქვს უნარი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შესარულოს მარტივი მათემატიკური გაანგარიშებები. განსაზღვროს და ააგოს მცირე ბიზნესისთვის დამახასიათებელი ფუნქციონალური დამოკიდებულებები. გაანალიზოს და გამოიყენოს შედეგები დანიშნულებისამებრ;</li> <li>• გამოიყენოს ბიზნესის საფუძვლებისა და მცირე ბიზნესის წარმოების პრინციპების ცოდნა სამუშაოების დასაგეგმად; დაგეგმოს და განავითაროს საქმიანი ურთიერთობები მცირე მოცულობის საწარმოო პროცესების სპეციფიური ხასიათიდან გამომდინარე;</li> <li>• ხელი შეუწყოს ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებასა და განვითარებას. განავითაროს კვალიფიციური ბიზნეს კომუნიკაციები პარტნიორებთან, კოლეგებთან და კონკურენტებთან; დაგეგმოს მცირე ბიზნესის საწარმოო პროცესში მონაწილე ადამიანური რესურსებისა და პერსონალური კარიერა და იზრუნოს განვითარებაზე;</li> <li>• შექმნას ჩატარებული და სამომავლო სამუშაოების მონაცემთა ბაზა: გამოიყენოს რელევანტური ბაზების მონაცემები და იზრუნოს ინოვაციური მიმართულების ადაპტაციასა და დანერგვაზე; უსაფრთხო გარემოს შექმნისა და მისი მდგრადი განვითარების ხელშეწყობისა და დაცვის.</li> </ul>
<b>დასკვნის გააკეთების უნარი</b>	<p><b>აქვს უნარი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მცირე ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად და ზოგადი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო პროფესიული ანალიზისა და დასკვნების; პრაქტიკულ საქმიანობაში ავტონომიური აზროვნების;</li> <li>• სიტუაციური ანალიზის საფუძველზე პერსონალური მიზნების განსაზღვრისა და დასახვის; მცირე ბიზნესის განვითარებისათვის არსებული ზოგადი საჭიროებების, მათი განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსების განსაზღვრის;</li> <li>• ზეპირი, წერილობითი და ვიზუალური ფორმით კომუნიკაციის თავისი პროფესიული საქმიანობის შესახებ, როგორც მშობლიურ ასევე ინგლისურ ენაზე;</li> <li>• მცირე სამენარმეო პროექტის შეშუბავების პირობების განსაზღვრა, დაგეგმვა და რეალიზაცია იდენტური სიტუაციების პირობით მოდელირებისას.</li> </ul>
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	<p><b>აქვს უნარი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის სრულფასოვანი გამოყენების; ჯგუფური მუშაობის პრინციპების გამოყენებით ეფექტურად მუშაობის; პროფესიული ინფორმაციის მოპოვების, გავრცელების და გადამუსავების უნარი</li> </ul>
<b>სწავლის უნარი</b>	<p><b>აქვს უნარი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ახალი ინფორმაციის მოპოვების; მასალებისა და ტექნოლოგიების შესწავლის, გაათვისების, გამოარებისა და კრიტიკული ანალიზის;</li> <li>• პროფესიული ბიზნეს ინფორმაციის იდენტიფიცირების, მოდიფიცირების; გამოყენების შემთხვევაში მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის კუთხით არგუმენტირებული დასაბუთების</li> </ul>
<b>ღირებულებები</b>	<p><b>გააჩნია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პატივისცემის გრძნობა მორალური, ეთიკური, კულტურული და სამართლებრივი ნორმებისადმი; სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების წარმართვის და დაცვის უნარი პიროვნული პასუხისმგებლობის აღების უნარი საერთო საქმეზე;</li> <li>• პატივისცემის გრძნობა კოლეგებისა და პარტნიორების მოსაზრებებისადმი; დადებითი დამოკიდებულება უსაფრთხო და მდგრადი განვითარების მქონე გარემოს შესაქმნელად არსებულ ნორმებისადმი და ინიციატივებს იჩენს მათი დაცვის მიმართულებით; აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა პროფესიული საქმიანობისადმი.</li> </ul>

**15. ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი**

**პროფესიული განათლების საფეხური:** მეოთხე საფეხური

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**პროგრამის მოცულობა:** პროგრამა მოიცავს 90 კრედიტს

- 27 კრედიტი-სასწავლო კომპონენტისთვის -675 საათი
- 63 კრედიტი-პრაქტიკული კომპონენტისთვის - 1575 საათი.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა :** მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება

პროფესიული ტესტირების ჩატარება



**პროფესიული პროგრამის მიზანია** ჩამოყალიბოს სტუდენტებს ცოდნა - ტანსაცმლის მხატვრული მოდელირების, კონსტრუირების და ტექნოლოგიური დამუშავების, ქსოვილის ტექნოლოგიის, მზა მხატვრული ნაწარმის სექტორის შესახებ, უზრუნველყოს მხატვრულ ნაწარმზე მუშაობის ინოვაციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, შეასწავლოს მხატვრული ნაწარმზე მუშაობის როგორც თანამედროვე, ისე ტრადიციული ტექნოლოგიები, მისცეს სტუდენტს სწრაფად ცვალებად შრომის ბაზარზე ადაპტირების საშუალება, მოამზადოს სპეციალისტები დამსაქმებლის მოთხოვნის შესაბამისად.

**სწავლის შედეგი:**

<b>ცოდნა და გაგნობიერება</b>	<p><b>იცნობს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების ტექნიკურ და მხატვრულ ასპექტებს. ფლობს სხვადასხვა ტიპის, დანიშნულებისა და ხასიათის ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების თავისებურებებს.</li> <li>• და ერკვევა ტანსაცმლის კონსტრუირების საფუძვლებში. იცნობს სხვადასხვა სირთულის დეტალებისა და ტანსაცმლის მოდელის კონსტრუირების კანონებსა და წესებს ქსოვილის ხასიათის გათვალისწინებით.</li> <li>• და ერკვევა თავისუფალი მეთოდით სპეციფიკური ქსოვილის შექმნის ტექნოლოგიაში, მოცულობითი ფორმების არქიტექტონიკაში.</li> <li>• კოსტიუმისა და სტილის ისტორიას.</li> <li>• და აქვს ხატვისა და ფერწერის ელემენტარული უნარი.</li> <li>• და ადევნებდად აღიქვამს კომპოზიციურ ამოცანას და შეუძლია მისი შეფასება.</li> <li>• და ფლობს კონკრეტული დარგის ათვისებისთვის საჭირო საინფორმაციო ტექნოლოგიას, სახვითი ხელოვნების დიდაქტიკას</li> </ul>
<b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეიმუშავოს კონკრეტული ამოცანის შესაბამისი ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების მრავალფეროვანი ნიმუშებისთვის კონსტრუქციული და ფერითი ექსკიზები, შეუძლია ადეკვატურად გამოიყენოს სპეციალური საინფორმაციო ტექნოლოგია. შეუძლია შემოქმედებითად გადაჭრას კონკრეტული ამოცანა.</li> <li>• კონკრეტული ამოცანის შესაბამისი მასალითა და სათანადო ტექნოლოგიური პროცესების დაცვით შეასრულოს ტანსაცმლის მრავალფეროვანი ნიმუშები ექსკლუზიურად შექმნილი ქსოვილის, მოცულობითი ფორმების, ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების შესაძლებლობების გათვალისწინებით.</li> <li>• ზედამხედველობა გაუწიოს შესაბამის დარგში მომუშავე დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირებს</li> </ul>
<b>დასკვნის გააკეთების უნარი</b>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოდის დიზაინის კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად შეიმუშავოს ალტერნატიული ვარიანტები, შემუშავებული ვარიანტებიდან შეარჩიოს საუკეთესო და მის განსაზოვრებულად გამოიყენოს ოპტიმალური და ვიზუალურად მომგებიანი მასალა.</li> </ul>
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	<p><b>იცნობს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროფესიასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ ტერმინოლოგიასა და ტექნოლოგიურ პროცესებს.</li> <li>• თავისუფლად შეუძლია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი კომუნიკაცია პროფესიის ირგვლივ.</li> <li>• სპეციფიკურ საინფორმაციო ტექნოლოგიებს და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი ტექნოლოგიები.</li> <li>• და შეუძლია დაამუშავოს პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაცია უცხო ენაზე (ინგლისურად).</li> </ul>
<b>სწავლის უნარი</b>	<p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული საფეხურის ათვისების შემდეგ შეუძლია განსაზღვროს პირადი პროფესიული ზრდის სავარაუდო პერსპექტივები და აირჩიოს სასურველი მიმართულება</p>
<b>ღირებულებები</b>	<p><b>იცავს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ეთიკურ ნორმებს. პატივისცემითა და პასუხისმგებლობით ეკიდება კოლეგებსა და მათი შრომის შედეგს. ითვალისწინებს (საჭიროების შემთხვევაში) დაშვების სურვილს და კონკრეტულ სიტუაციაში იღებს ადეკვატურ გადაწყვეტილებებს. იცავს უსაფრთხოების წესებს.</li> </ul>

**16. სავალი ნაწილის ტექნიკოსი**

- I. **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** სავალი ნაწილის ტექნიკოსი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- II. **პროფესიული განათლების საფეხური:** მესამე
- III. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სავალი ნაწილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- IV. **პროგრამის მოცულობა:** პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა 9 თვე, საათების რაოდენობა 1500)
- 30 კრედიტი - სასწავლო კომპონენტისთვის განსაზღვრულია - 750 საათი.

- 30 კრედიტი - პრაქტიკული კომპონენტისთვის კი - 750 საათი.

**V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევა, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება

**VI. პროფესიული პროგრამის მიზანია:** სტუდენტს მისცეს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა. მისცეს შესაძლებლობა გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართოსპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები, განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი, ასევე, განუვითაროს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, რათა ეფექტიანად გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. განსხვავებულ სიტუაციებში იმოქმედოს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.

**VII. სწავლის შედეგი:**

